რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 9 ივნისი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება არა სათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ა[illegible]სი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т[illegible]ис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 67 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 67

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ **პარტიული სტამბა.** პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

გულ მოკლული დედა ოლღა ხომერიკისა, ძმები ისიდორე და ტიტიკო დიდი-თურთ ულრმეს მადლობას უცხადებთ იმ პირებს ვინც პატივი გვცა

**ვასილა ხომერიკის**

დაკრძალვის დღეს დღეს დეპეშით, წერილებით თუ პირადი დასწრებით და გაინაწილა ჩვენი მწუხარება.

---

მეოთხე რაიონის დროებითი კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პარტიისა პარასკევს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე პირველ ქალების გიმნაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა) იწვევს თავის წევრთა

**საერთო კრებას**

დღის წესრიგი: 1. დელეგატების არჩევა საოლქო ყრილობაზე დასასწრებლათ.
2. მუდმივი კოლლექტივის არჩევნები.
ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

---

პარასკევს, თიბათვის 9, საღამოს 6 საათზე, ტფილისის რეალურ სასწავლებელში ველიკოკნიაჟევის ქუჩაზე (უჩებნი პერეულკ.) დანიშნულია მეორე რაიონის კოლექტივის რუს. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის წევრთა

**საზოგადო კრება.**

დღის წესრიგი:
1) ამხ. კ. გვარჯალაძე მოხსენებას გააკეთებს აგრარულ საკითხზე.
2) დელეგატების არჩევნები რ. ს. დ. მ პ. ხიეზდზე.
3) მიმდინარე საქმეები.

---

**სოც.-დემოკ. კლუბი მეხუთე სამილიციო ნაწილისა**

[illegible] სასწავლებელში, [illegible] ქუჩა, აქვე შეიძლება პარტიაში ჩაწერა, გაზეთების გამოწერა და წიგნაკების შეძენა.

---

**დეპუტატი აკაკი ჩხენკელი**

აცხადებს, რომ ის ბინაზე კერძო საქმეებისათვის არავის იღებს. დეპუტატი სთხოვს ყველას ნუ მიმართავენ მას პირადულ საქმეებისათვის (ადგილზე დანიშვნა, გადაყვანა და სხვა).

---

**აუქციონი**
**ტფილისის ქალაქის ლომბარდი**

აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთო ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან. 2—1

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველ კვირეულ კოოპერატიულ ჟურნალ

**„კავშირზე“**

(ორგანო ამიერ კავკ. მომხმ. საზ. კავშირისა)

ჟურნალის ფასი: ამ წლის ბოლომდე ექვსი მანეთი, ცალკე ნომერი 20 კ. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა ხუთშაბათს 7 ივნისს.

ფოსტის მისამართი: г. Тифлисъ, Крыловская ул. № 10, Закавказскому Союзу Потр. О-въ, для «Кавшири».

ადგილობრივ ხელის მომწერთათვის მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 68, კავშირის ინსტრუქტორთა განყოფილება.

---

პირველი უბნის (ვერა) ქალაქის საარჩევნო კომისია
რ. ს.-დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციისა

სთხოვს ყველა ამხანაგებს და მოქალაქეებს, ვინც გამოტოვებულია და არ არიან ქალაქის საარჩევნო სიებში შეტანილნი, მობრძანდენ მეექვსე ვაჟების გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3). სადაც დანიშნულია მორიგეობა ყოველდღე 5—7 საათამდე, და მოიტანონ თავიანთი გვარები, სახელები, მამის სახელები, ქუჩა და სახლის ნომერი და სახლის პატრონის გვარი, რომ შეტანილ იქნენ ქალაქის საარჩევნო სიაში.

---

**ახალი კლუბის საძირკვლო შენობა.**

შაბათს, 10 ივნისს სოც.-დემოკ. გაზ. „ალიონის“ ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება

**დიდი საღამო.**

წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით.

მონაწილეობას მიიღებენ ქართული დრამის მსახიობნი ვასო და ტასო აბაშიძენი და სხვ. სიმღერის პროფ. რიანდოვის სტუდია. საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან:

1 განყ. ქართ. წარმ. „რაც არ მერგება, არ შემერგება“ ვოდ. 1 მოქ.

2 განყ. ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნება სხვადასხვა სამუსიკო ნომრები სტუდიის მოწაფეთაგან.

3 განყ. ალმოსავლეთური ცეკვა.

საღამოსთვის ბაღში მოწყობილი იქნება კიოსკები, პტი-შვო, კონფეტები, პოსტა და სხვა გასართობები. საღამოსთვის მოწვეულია კლუბის ორკესტრი და დუდუკი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ბილეთები ამ თავითვე ისყიდება „ალიონის“ რედაქციაში.

საღამოს გამგე ანნა ქავთარაძისა,

---

შაბათს, 10 ივნისს საღამოს 7 საათზე მოხდება პირველი

**საერთო კრება**

ვერცხლეულობის, საათების, საიუველირო მაღაზიების მუშების ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 18).

დღის წეს-რიგი: 1) პროფესიონალურ კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება, 2) მოხსენება პროფესიონალურ კავშირის მნიშვნელობაზე, 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 4) მიმდინარე საქმეები. ამხანაგებს თხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

3—2

---

**ტფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი**

გადავიდა ახალ ბინაზე ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩის კუთხეში 25—22. ტელ. 13—40.

---

**ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის**

ჭრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასათვის. ღარიბები მუქთათ. აქვე მიიღება შესაკერავათ კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—2)

---

**ამხანაგებო და მოქალაქენო!**
**არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!**

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. ეს აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს სარჩევნო კომიტეტს (არტისტიულ საზ. შენობაში გოლოვინის პროსპ.) ან მახლობელ კოოპერატივში, პროფ. კავშირში, მუშათა დეპუტ. საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

---

**სტუდენტი**

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე. ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—1

---

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიქტორიის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

**ექიმი ივანე თიკანაძე**

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

---

**ექიმი გ. გ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

**გ. გ. მაჭრახიანი**

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის,—ტიკითა, დიდი სალინოიდი ხეცუალური მოლება და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭლექის, სისხლ ნაკლებობის, ფძილობის, ნევრალგიისთვის. ნერვებმალის ტვინის ავათმყოფობის ათაშის, ზუალიდი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

---

ქუთაისი

**ექიმ გ. ი. გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

---

ქ. ქუთაისში.

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

---

სამტრედიის სადგურის ბაქანზე ნაპოვნია

**ოქროს საათი.**

პატრონს შეუძლია მიაკითხოს რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს გრიშა ურუშაძეს, რომელთანაც ინახება საათი. (3—3)

---

**ტფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:**

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

**ბიურო**

ტფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

---

**კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია** მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

---

## ბალშევიზმი.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ლენინის ბრძანების თანახმად ტფილისელი „ბალშევიკები“ გამოეთიშენ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და შეადგინეს ცალკე ფრაქციული ჯგუფი. მათ არასოდეს არ ჰქონიათ საკუთარი პოლიტიკური სამოქმედო ხაზი, საკუთარი პარტიული სახე — ისინი მუდამ ლენინის სუფრიდან დაცვივნული იდეური ნაფინჩხებით იკვებებოდენ და ასე მისჩანჩალებდენ. ახლა წავიდენ იქ, საითკენაც მათ მუდამ ბედი მიერეკება—ისინი წავიდენ იმ ყოვლად სამღვდელოს სექტაში, რომელიც უცოდველი ქერუბიმის სამოსელში იკაზმება. ათ წელიწადზე მეტია, რაც „ბალშევიკების“ ამ ქერუბიმისაგან ერთი და იგივე განუწყვეტელი რევოლიუციონური ხმა მოისმის; მისი მორჩილი მოწაფენი კი, ლებულობენ რა ამ ხმებს იგგოვას უკანასკნელ გამოცხადებათ—გულმოდგინეთ გადასცემენ ხოლმე თავიანთი ფრაქციული მონასტრის სენაკთა ყველა კუთხეებში.

ამ ჯგუფის შუბლზე ისტორიამ ერთი სიტყვა დააწერა. ესაა სიტყვა რასკოლი. როდესაც საზოგადოება თავისი პოლიტიკური არსებობის უდიდეს საკითხებს არკვევს, ეს ჯგუფი მაშინ თავის პატარა სარასკოლო საქმეებს აკეთებს. მოიგონეთ რას აკეთებდენ ისინი 1905 წ. რევოლიუციის ძნელ ხანაში. იმ დროს „ბალშევიკებმა“ სხვა საქმე ვერაფერი იშოვეს: შეიკრიბენ ლონდონში და სოც.-დემოკრატიული პარტია ორ ნაწილად გათიშეს; როდესაც სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე ყველა პარტიებს იერიშები მიჰქონდათ და ფრაქციას რევოლიუციის წითელი დროშა მაღლა, მედგრათ ეპყრა, „ბალშევიკებმა“ მას ზურგიდან დაესხენ და „ოხრანკის“ დეპუტატის მალინოვსკის ხელმძღვანელობით ის ორ ნაწილად გათიშეს. ახლაც, ამ უდიდეს ხანაში, რასკოლის გმირები განაგრძობენ თავიანთი ხაზისა და ლარის გაყვანას—რევოლიუციის არეულ-დარეულობით ისინი თავისი სექტის საქმეს აწყობენ.

საით მიისწრაფვიან ისინი? რომელ ღმერთს ემსახურებიან?

როგორც ვიცით, საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისათანავე ლენინმა სოციალ-დემოკრატიული პარტია ლეშათ გამოაცხადა და წამოაყენა კომუნისტური პარტიის დაარსების აუცილებელი საჭიროება. ასეთი რთული საქმის დაწყება, როგორც ჩანს, სახიფათო საქმეთ მიიჩნია „ბალშევიკების“ კონფერენციამ და ჯერ-ჯერობით სოციალ დემოკრატიული დროშის ქვეშ დარჩენა ამჯობინა. ამასთანავე, მან ჩამოაშორეს სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას ყოველგვარი ნასახიც კი. კონფერენციაზე გამოტანილი რეზოლიუციები აშკარათ გვიჩვენებენ იმ დიდ მანძილს, რომელიც გვაშორებს ამ ფრაქციისაგან არა თუ ჩვენ, არამედ—რამდენიმედ ძველს „ბალშევიზმსაც“. თუმცა ახლაც ამბობენ ისინი, რომ პროლეტარიატმა „არ უნდა დაისახოს მიზნათ სოციალისტური მოთხოვნათა დაუყოვნებლივი განხორციელება“, მაგრამ იქვე ქადაგობენ „სოციალიზმისაკენ რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას“. ეს მათი „პრაქტიკული ნაბიჯები“ ისე წააგავს სოციალისტ რევოლიუციონერთა ქადაგებას „კაპიტალიზმის შენგრევისა“ და თანდათანობით სოციალიზმის სამეფოში შესვლის შესახებ, როგორც წყლის ორი წვეთი ერთი მეორეს. „ასეთ ნაბიჯათ, როგორც კონფერენცია ამბობს, პირველათ ჩაითვლება მიწების ნაციონალიზაცია“. სოც.-რევოლიუციონერები კი ასეთ ნაბიჯათ, როგორც ვიცით, სოციალიზაციას თვლიან. საერთოა მათ შორის აგრარული რეფორმის თეორიული დასაბუთება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: კაპიტალიზმის შენგრევა ნიშნავს სოციალიზმისაკენ ერთი ნაბიჯის გადადგმას და სხვ. ეს ჩვენ პირველად გვესმის „ბალშევიკებისაგან“ ჩანს, ამ ჟამათ ისინი სულ ერთიანად დაემონჩილენ „მეშჩანური“ სოციალიზმისა და წვრილ-ბურჟუაზიული აგრარული რადიკალიზმის მოძღვრებას. უკეთუ მიწის სოციალიზაცია ეკონომიურ სფეროში რეაქციონური მოვლენაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიურათ განვითარების საქმეს ხელოვნურათ აჩერებს, სამაგიეროთ, მიწის ნაციონალიზაცია აგრეთვე რეაქციონური მოვლენაა პოლიტიკურ სფეროში. ამ შემთხვევაში ის აძლიერებს ბურჟუაზიულ მთავრობას, ე. ი. ბურჟუაზიას ხდის მის ძლიერ ეკ ნომიურ ფაქტორად, როცა ბურჟუაზიის გაუადვილდება გლეხობის პოლიტიკური დამონება. კონფერენცია ოდნავაც არ დაფიქრებულა ამ საკითხზე. ის ამბობს, რომ

„ნაციონალიზაცია, რომელიც ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებს არ სცილდება იმავე დროს იქნებოდა თავდასხმა კერძო საწარმოვო იარაღთა საკუთრებაზე, რითაც შესამჩნევათ გაძლიერდებოდა სოციალისტური პროლეტარიატის გავლენა სოფლის ნახევარ პროლეტარებზე“.

აი, სწორედ ეს არის გზაკვალ აბნეული სოციალიზმი, ნაცვლად მეცნიერული სოციალიზმისა.

ნაციონალიზაცია ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს არ სცილდება ე. ი. ბურჟუაზიის საკუთრება ხელუხლებელი რჩება, კონფერენცია კი გვარწმუნებს, რომ ასეთი ბურჟუაზიული ღონის-ძიება „კერძო საკუთრებაზე თავდასხმა იქნებაო“, იბადება კითხვა: ვის კერძო საკუთრებაზე? თავ სთავად ცხადია, არა ბურჟუაზიის საკუთრებაზე, ვინაიდან ის

# ამხანაგებო, მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება.

ხელ-უხლებელი რჩება,—მაშასადამე, „თავდასხმა“ მიმართულია მიწათ მფლობელებისა და გლეხების წინააღმდეგ ე. ი. მათ მიწებს ჩამოართმევენ და გადასცემენ სახელმწიფოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ბურჟუაზიის ამგვარ გაძლიერებას და მისი გავლენის გაფართოებას სოფელზე „ბოლშევიკები“ უწოდებენ „პროლეტარიატის გავლენის გაძლიერებას ნახევრათ გაპროლეტარებულ სოფლელზე“. მაგრამ მიწა ხომ პროლეტარიატს არ გადაეცემა, არამედ ის გადაეცემა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.—მერე ნუ თუ ამ გზით პროლეტარიატი გაძლიერდება? პირდაპირ სასწაულია!

ასეთ „მეშჩანურ“ სოციალიზმს ლენინის მდაბიო მიმდევარნი რა თქმა უნდა, თავისებურათ ამუშავებენ: ჩამორთმევა, აი რანაირი სიტყვა გამოხატავს მათს აზროვნებას. ჩამორთმევა ყველაფრის რაც უხეიროთ სძევს, როგორც იტყვიან—უპირველესად კი, მიწის ჩამორთმევა. ვინაიდან რევოლიუციის გამარჯვების ხანაში მთავრობის ძალთა თანასწორობა არ არსებობს, „ყველაფერი უხეიროთ სძევს“, „ჩამომრთმევთა“ პრაქტიკული პოლიტიკა ამ დროს რევოლიუციის დაშლას, დეზორგანიზაციას იწვევს, ხოლო, რეაქციის გაძლიერებას და ორგანიზაციულათ მოწყობას ემსახურება.

შემდეგ კონფერენცია განაგრძობს: მეორე „პრაქტიკული ნაბიჯი, სოციალიზმისაკენ“ გადადგმული იქნება სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესება ყველა ბანკებზე, დამზღვევ საზოგადოებებზე, სინდიკატებზე და სხ.

რას ნიშნავს ეს? კონტროლი ყოველთვის იყო და ამჟამათაც სუფევს ყველა ამ დაწესებულებებზე. ბიუროკრატიასაც კი ეს დაწესებულებანი თავისი ფხიზელი მხედველობის ქვეშ ჰყავდა დაყენებული. მაშასადამე, მთელი ამ წინადადების აზრი ერთია: ყველა ეს დაწესებულებანი ჩვენი ხელმძღვანელობით ვაწარმოვოთ, რაც თფილისელ „ბოლშევიკებს“ და მათ ქუჩურ ორატორებს ყველა ბანკების ჩამორთმევათ მიაჩნიათ.

კონფერენცია ურჩევს: „თვითნებობით მოქმედებას ეკონომიური ხასიათის ზომათა ცხოვრებაში გასატარებლათ—კონტროლის დაწესებას წარმოებაზე, განაწილებაზე და სხვ. ეს აზრი, ლენინელთა ენა, რომ ვიხმაროთ, ქარხანა-ფაბრიკების ჩამორთმევას მოასწავებს.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკების კონფერენცია იწონებს „პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას სოციალიზმისაკენ“ ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში. ეს სოციალ-დემოკრატიის [illegible] რებაა, რომელიც მაღას ალუძრავს ყველას და ხელებსაც სამოქმედოთ უხსნის სუფლებს. ეს მაქსიმალიზმი, რომელიც სოციალურ სფეროში ყველაფერს ნებას დართულათ აღიარებს გაუნათლებელსა, უკულტურო წრეებში ისეთ მდგომარეობას ქმნის, სადაც „პირდაპირ მოქმედების“ ლოზუნგს საუკეთესო გასავალი ეძლევა. იქ ჯეროვნათ ვერ ერკვევიან პოლიტიკურ რთულ საკითხებში და ამით წარმოადგენენ დიდს საშიშროებას რევოლიუციისა და თავისუფლებისათვის.

ამიერიდან აღარ არის ძველი „ბოლშევიზმი“, აღარ არსებობენ ძველი „ბოლშევიკები“! ისინი გადაბარგდენ „მაქსიმალისტების“ ბანაკში, შეიქნენ „მაქსიმალისტების“ საფერავით, სიტყვით კი ჯერ ჯერობით ისინი დარჩენ მათ მიერ გაუქმებულ სოციალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ. თავიანთ ტაქტიკით მათ უქველათ რუსეთის დემოკრატიაში არევ დარევა შეაქვთ, ჰქმნიან ისეთ პოლიტიკურ პირობებს, რომელიც ხელს უწყობს რეაქციონერების შეკავშირებას.

ბრძოლა, ბრძოლა შეუპოვარი, დაუნდობელი ამ ჩვენი დროის ბოლშევიზმის ანუ მაქსიმალიზმის წინააღმდეგ. აი ის მორიგი საქმე, რომელიც უნდა აკეთოს ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია რევოლიუციისა და თავისუფლების ინტერესები.

## ფინანსიური კრიზისი.

დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა აკრძალოს უცხოეთში ფულის გადაგზავნა.

ასეთი განკარგულება ფინანსიური ოლიგარხიის წინააღმდეგ მიმართულია. ბანკირები ნდობას უცხადებდენ მეფის მთავრობას და მას დიდძალ კრედიტს აძლევდენ, ხოლო უნდობლათ ეკიდებიან „თავისუფლების“ სესხს და მას ფარული ბოიკოტით უპასუხებენ. რა მოხდა? რა შეიცვალა?

მეფის მთავრობა სავსებით ემორჩილებოდა ფინანსისტების კარნახს და მათ უსაზღვრო მოგებას ხელს უწყობდა. რევოლიუცია ფინანსისტთა თარეშს ვერ შეურიგდება. ამიტომაც არის ფინანსიური ოლიგარხია: რევოლიუციის წინააღმდეგ ილაშქრებს. ომი დიდძალ ხარჯს მოითხოვს, აგრეთვე შინაური ცხოვრების გარდაქმნაც. მოიკლებით დროებით მთავრობას კრედიტი და დარწმუნებული უნდა იყოთ, მთელი სახელმწიფო ცხოვრება აირ-დაირევა, კონტრ-რევოლიუციის ამოძრავებას ნიადაგი მოუმზადდება. ეს ხელსაყრელი იქნება მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიისათვის, მარა დამღუპველი დემოკრატიისათვის. ამიტომაც არის ფინანსიური საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

მთავრობა გამოსავალს დაეძებს. საჭიროებისას ის ფინანსისტთა და ვაჭარ მრეწველთაგან იძულებითი სესხის აღებას ეპირება. სხვა გზა არაა. ამიტომაც არის ფინანსისტებმა და ვაჭარ მრეწველთ თავისი კაპიტალი უცხოეთში გააქვთ. ეს რუსეთს კრედიტის კიდევ უფრო დაცემას ხელს უწყობს. თუ ასე გაგრძელდა, სახელმწიფოს ბანკოტრება აუცილებელი იქნება.

ამიტომაც ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის ძალით უცხოეთში კაპიტალის გადაგზავნა აკრძალულია.

ომი იმპერიალისტებმა გამოიწვიეს. ეს უპირველესათ ფინანსისტების საქმეა. ამიტომაც მისი უმთავრესი სიმძიმე, ფინანსიური მხრივ მაინც მათ უნდა დააწვეს. ახლავე უნდა დაწესდეს განსაკუთრებული გადასახადი, რომლის ძალით სახელმწიფოს გადაეცემა ის ზედმეტი მოგება, რომელიც ფინანსისტებმა ომიანობის ხანაში მიიღეს. ისინი ამ ულუფს გაურბიან. რევოლიუციის მეთაურები ვალდებულნი არიან ფინანსისტთა ასალაგმავათ შესაფერი ზომები მიიღონ.

## ვის ახარებს განხეთქილება?

აღსანიშნავია, რომ ლენინელების ე. წ. „რევოლიუციონური“ ტაქტიკა ძლიერ ახარებს ჩვენს ნაციონალისტებს ს. ფედერალისტების სახით. „სახ. ფურცელმა“ რამდენიმეჯერ გაიმეორა ქათინაურები ლენინელების მიმართ.

სჩანს „რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას“ საუცხოვო მოკავშირე აღმოჩენია!

მარა ყველაზე მეტად საყურადღებო ის არის, თუ როგორ შეხვდა „სახ. ფურცელი“ ლენინელთა მიერ მოწყობილ განხეთქილებას.

„სახალხო ფურცელი“ მოყავს უკომენტაროთ ლენინელთა დასაბუთება რასკოლისა, ხოლო მეორე მხრით ცხება ჩვენს წერილს, რასკოლის წინააღმდეგ მიმართულს, და ასეთ სიტყვებს დასძენს: „ბოლშევიკების ცალკე გამოსვლას ძლიერ გაუწყრებია მენშევიკების „ერთობა“ და სხვ.

ერთი სიტყვით, „სახ. ფურც.“ ვეღარ ფარავს თავის სიხარულს და სიმპატიას ლენინელებისადმი. ფ. მახარაძე და მისი მეგობრები დღეს „სახ. ფურც.“ სამაგალითო რევოლიუციონერები აღმოჩნდენ!

ჩვენი მუშები კარგათ უნდა ჩაუკვირდენ ამ პატარა ფაქტს. როგორ მოხდა, რომ შეგნებული პროლეტარიატის დაუძინებელი მტერი—ნაციონალისტური პრესა ლენინელთა მოქმედებით ძლიერ კმაყოფილია.

განა ჩვენ მართალი არ გამოვდექით, როცა ვწერდით: განხეთქილება გაახარებს ბურჟუაზიულ პარტიებს, რომელთაც სიტყვით ლენინელები ბრძოლას უცხადებენ, საქმით კი მათ წისქვილს აბრუნებენთქო?

ამის საუკეთესო საბუთს „სახ. ფურ.“ საქციელი შეადგენს. მან კარგათ იცის, რომ ფაქტიური ძალა, რომელიც ნაციონალისტების ფარფაშს ფრთებს აკვეცს, არის ორგანიზაცია, რომელიც თავის შემადგენლობით მენშევიკურია. ის კარგათ გრძნობს, რომ ლენინელებს არავითარი რეალური ძალა არ გააჩნიათ და აბა რათ არ უნდა მოუსვან თავზე ხელი ამ საუცხოვო კომპანიას, როცა მათი მოქმედება იმედს აძლევს ნაციონალისტებს შინაური განხეთქილებით ხელი მოითბონ?

მარა ჩვენი მუშები არც ისე გაუწვრთნელი არიან, რომ ვერ გაიგონ განხეთქილების მაგნებლობა და ნაციონალისტების გულის წადილი.

ამის საბუთს გვაძლევს ჩვენ მისი წარსული და ნაადრევია ზეიმი მუშათა კლასის ფარული და აშკარა მტრების!

## ანარქისტების თვითნებობა.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ანარქისტებს ხელ-ფეხი გაუხსნა და ისინიც პრაქტიკულ „საქმიანობას“ შეუდგენ. მათ თავიანთი ისტორიული დევიზი „დიდი საქმის გაკეთება“ ფართოთ ამოქმედეს და ხელში იარაღით ზოგიერთა შენობებს და საწარმოვო დარგებს ისაკუთრებენ.

ჯერ იყო მათ პეტროგრადში ქსეშინსკის სასახლე დაიკავეს და აქედან დაიწყეს ვითომ მდა სახელმწიფოს მართველობის სფეროში ანარქისტული პრინციპების გატარება. ახლა როგორც ვიცით ისინი გაზ. „რუს. ვოლიას“ სტამბას დაეპატრონენ. მაგრამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმმა ისინი დასახელებულ სტამბიდან გარეკა და სტამბის პატრონი არამკითხე ანარქისტების ძალმომრეობისაგან გაანთავისუფლა.

ერთი სიტყვით რუსეთის ანარქისტები ამ ჟამათ, როგორც ერთი ანარქისტი იტყოდა,—„საკუთრება ქურდობაა“—და ყაჩაღობით, ძალით მათ კერძო საკუთრების გაუქმებას შეუდგენ.

ასეთი მოქმედება ანარქისტთა შორის მუდამ საპატიო ხელობათ ითვლებოდა. თვით ანარქისტების უდიდესი თეორეტიკი და გავლენიანი „პრაქტიკი“ მიხეილ ბაკუნინი ყაჩაღებს და ქურდებს რევოლიუციონერებს უწოდებდა და მათ საქციელში დიდ რევოლიუციონურ საქმეს ხედავდა.

რაღა გასაკვირველია, თუ ახლა წვრილფეხა ანარქისტებმა, ზოგიერთა ქუჩის ავარებმა თავიანთი მამამთავრის შეხედულება სახელმძღვანელო პრინციპათ გაიხადეს და ანარქიული მოქმედება სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში გააძლიერეს.

ანარქისტების ასეთ მოქმედებას დღეს ასე თუ ისე გასავალი აქვს. რუსეთის მუშათა კლასი და გლეხკაცობა ჯერ ისე ორგანიზაციულათ და კლასობრივათ არ არის დარაზმული, რომ მისი ზოგიერთა წევრები ანარქისტების მახეში არ გაებენ და მათ ფერხულში მონაწილეობა არ მიიღონ; გათვითცნობიერებულ პროლეტარიატის გარეთ მრავალი ელემენტები არიან დარჩომილნი, რომლებიც ანარქისტების მტაცებლობის პრინციპს სიამოვნებით ეგებებიან და სხვის საკუთრებას იარაღით ხელში ისაკუთრებენ.

მაგრამ მათი ასეთი თავგასულობა დროებითია, იგი პროლეტარიატისა და გაღატაკებულ გლეხკაცობის გათვითცნობიერებასთან ერთად ქრება და საზოგადოებრივ მამდინარეობაში ალაგს ვეღარ პოულობს.

საზოგადოთ ცნობილია, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში ყველგან და ყოველთვის ანარქისტულ მოქმედებას გასავალი აქვს.

მაგრამ რუსეთის რევოლიუცია თანდათან ღრმავდება, თანდათან მის გარშემო ორგანიზაციულათ და კლასობრივათ გათვითცნობიერებული მასსა იკრიბება და უკანასკნელი კი მთელი თავისი მოძრაობით დიამეტრალურათ უარჰყოფს ანარქისტების მოქმედებას.

მართლაც ახლა ანარქისტების მოქმედება ანაქრონიზმათ უნდა ჩაითვალოს და მათი მოძრაობა ოდნავადაც არ ატარებს მასიური მიმდინარეობის ხასიათს. და თუ აქა-იქ კვლავ ანარქისტები თავს იჩენენ—ეს გამონაკლისია და ამასთან წმინდა კონტრ-რევოლიუციონური შინაარსისაა.

შეგნებული რევოლიუციონური მუშათა კლასი და გლეხკაცობა ამ ჟამათ ყველა ანარქისტულ მოქმედებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს და მათ სამარცხვინო მოქმედებას საქვეყნოთ გმობს. იგი რეაქციისა და კონტრ-რევოლიუციის წისქვილის აბრუნებას ნიშნავს და მას შეგნებული პროლეტარიატი დაუნდობლათ ებრძვის.

## პრესა.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში ცნობა იყო მოყვანილი დაჯილდოება აჭარლების საქმის გადაწყვეტის შესახებ. ამის შესახებ „კავკაზში“ ვ. პაჩ ნინო სწერს:

„როგორც ვიცით, აჭარლების საქმემ დიდი ხმაურობა გამოიწვია არა თუ ბათუმში, არამედ რუსეთში. კითხვა ასე იყო დაყენებული: ჩაიდინეს თუ არა ღალატი აჭარლებმა. პრესის ერთმა ნაწილმა ისეთი ხმაურობა ასტეხა, რომ ამ თავისთავად უბრალო საქმიდან შექმნეს დიდი საქმე, რის გარშემო დიდი მღელვარება იყო საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებში. საქმის გარჩევაში მონაწილეობა მიიღეს საუკეთესო ვექილებმა და სხვ. და ყველა ეს გამოიწვია იმ მოვლენამ, რომ თავის დროზე ვერ შესძლეს ამ მხარეში ოსმალეთის ემისარების მოღვაწეობის შეჩერება.

ეს ხალხი ერთნაირად დაისაჯა როგორც ჩვენის, ისე ოსმალების ჯარისაგან“.

გაზეთის თქმით საქმის გარჩევამ დაამტკიცა:

„შეიძლება კერძო პიროვნებათა დასჯა, მარა არა მთელი ხალხის. სასაცილო და თან სისულელეა მთელი ხალხის მოღალატეთ მონათვლა“.

დასასრულ გაზეთი ასე ახასიათებს აჭარლებს:

„აჭარლებისაგან ბევრს უნდა ველოდეთ—ეს ფხიზელი, შრომის მოყვარე ხალხია, რომელიც ომის დროს გრდემლსა და ჩაქუჩს შორის მოექცა“.

რამდენათაც გვახსოვს ძველი რეჟიმის დროს გაზ. „კავკაზი“ ასე არ მ ჯღერდა.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 6—8 ივნისი).

### სამეფო გვარეულობის შესახებ.

პეტროგრადი. ს.-რევოლიუციონერთა პარტიის წარმომადგენლებმა დამფუძნებელ კრებისთვის საარჩევნო კანონის შემმუშავებელ სათათბიროს თავმჯდომარეს წინადადება წარუდგინეს, რომ საარჩევნო დებულებაში ნათქვამი იყოს სამეფო გვარეულობას არავითარი უფლება არა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების.

### პროტესტი.

სტოკჰოლმი. რეიხსტრატის კრება. ნაციონალურ სოციალისტურ პარტიის სახელით ჩეხმა სტიბნიმ პროტესტი გამოუცხადა მთავრობას, რომ ის ავსტრიაში მცხოვრებ არა ნემეცს ძალათ ახვევს თავზე ნემეცურ ენას, რაც მით უფრო აღმაშფოთებელია ეხლა, როცა აღიარებულია ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი.

### დეპუტატთა საბჭოების ყრილობა.

პეტროგრადი. 5 ივნისის საღამოს კრებაზე ტრუდოვიკმა ბრამსონმა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებმაც მინისტრების უჰ ყვეღდურეს, განაცხადა, რომ მათ წინადადებას არავითარი საფუძველი არა აქვს. მისი აზრით კოალიციურ სამინისტროს შედგენის შემდეგ რევოლიუციონური მუშაობა კრიტიკისკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც ხელს შეუწყობს რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანიზაციულათ მოწყობას მის მიერ დაყენებულ მთავრობის გასამაგრებლათ. ინტერნაციონალისტი მარტინოვი მინისტრების განცხადებაზე, რომ რუსეთის მდგომარეობა მძიმეა, სთქვა, რომ ყრილობამ უნდა გამონახოს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა. ამიტომ კითხვა უფრო ფართოთ უნდა დააყენონ, ვიდრე მთავრობასთან დამოკიდებულება. კითხვა ასე უნდა დააყენონ: დარჩეს ისევ მთავრობა თავის შემადგენლობით, თუ უმჯობესი იქნება კოალიციურის მაგიერ რევოლიუციონურ-დემოკრატიული სამინისტრო შეადგინონ.

სასურსათო საქმეთა მინისტრმა პეშეხონოვმა გააცნო ყრილობას სურსათის საქმე და სთქვა, რომ მიღებულ ზომების წყალობით ივნისში და ივლისში ჯარი და დიდი ქალაქები უზრუნველყოფილი იქნებიან პურით. მოსალოდნელია მხოლოდ აგვისტოში შემოგვაკლდეს პური, რადგან მუშაობის დროა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან საშიში აქ არაფერია, რადგან პურის კარგი მოსავალია მოსალოდნელი. რაც შეეხება სხვა სანოვაგეს მცხოვრებლებმა თავიანთი მოთხოვნილება უნდა შეამცირონ. შემდეგ პეშეხონოვი ვრცლათ შეეხო პურის საკითხის მოწყობის საქმეს. ყველაფერი რაც არის უნდა გაიყოს თანასწორათ და უნდა გაფართოვდეს წარმოება.

წარმოების სისუსტე ერთი მხრით იმით აიხსნება, რომ მუშები ამდენ ხანს მეტათ ცუდ მდგომარეობაში იყვენ და შრომის ფასი მეტათ მცირე იყო, ამიტომ რევოლიუციამ გამოიწვია ფართე მუშათა მოძრაობა, რაც არ შეეფერება ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას. ახლა კაპიტალისტები მოტყდენ. ბევრმა კაპიტალისტებმა განაცხადა, რომ იგინი მზათ არიან დასთმონ თავიანთი მოგება. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა ფართე საზოგადოებამაც გაიგოს, რომ იმათგანაც ვთხოულობთ მსხვერპლს. ასეთ მდგომარეობის დროს მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება შეუძლებელია. ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ უბედურების თავიდან ასაცილებლათ მომავალში.

მენშევიკი დანი აღნიშნავს, რომ სასურსათო საკითხი დაკავშირებულია შრომის ფასის საკითხთან და ეს უკანასკნელი ფინანსიურ და პოლიტიკურ საკითხებთან და ეს უკანასკნელნი ომის საკითხებთან. აქედან ცხადია ყველა ეს საკითხები ფართოთ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს ერთმა რევოლიუციონურმა მთავრობამ. ტყუილია იმის მტკიცება, თითქოს ამ საკითხების გადაწყვეტა ადგილობრივ საშუალებებით შეიძლება. ბოლშევიკების მოქმედება დანის სიტყვით ეს სინამდვილის წინაშე თვალის ახვევა და ოცნების სფეროში ფარფატია სხვა არაფერი. ბოლშევიკი ტროცკი აცხადებს: ჩვენ არა გვყავს მთავრობა, ის ხანგრძლივ კრიზისის მდგომარეობაშია. მთავრობის ერთი ფრიად პასუხისმგებელი პირი კონოვალოვი გადადგა ვაჭარ მრეწველთა კლასის წყალობით და სამი კვირაა მის მაგიერი ვერავინ უშოვნიათ. ასახელებენ ტრეტიაკოვს, მაგრამ ის კიდევ უფრო გაადრმავებს კრიზისს, რომ ბოლო მოუღოს რევოლიუციონურ მთავრობას, რომ, როგორც დუმის კერძო თათბირზე კერენსკიმ სთქვა, დაამშვიდოს ბოლოს რევოლიუცია და პროლეტარიატი. გახსოვდეთ ამბობს ტროცკი—რომ ჩვენ სხვა მთავრობა არა გვყავს გარდა საბჭოებისა. ის აფრთხილებს, რომ მეოთხე დუმის დაყენებული პირები ცდილობენ რევოლიუციის დამშვიდების აღებას: დეპუტატები სხდიან დუმაში და ელიან, როგორც კერენსკი ფიქრობს, როდის მოისურვებს ხალხი ძველ მთავრობას. ბოლშევიკები მთელ დემოკრატიასთან ერთათ ერთნაირ ტკივილს გრძნობენ, მაგრამ საქმეს სხვა თვალით უყურებენ. იგინი რევოლიუციის ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ.

სკობელევი აცხადებს, რომ მთავრობას აზრათ აქვს რამოდენიმე წარმოება გაუქმოს, რომ ქვეყნის საწარმოო ძალა გაანთავისუფლოს და გაანაწილოს მეურნეობის მოსაწესრიგებლათ, ასეთი დიდი საქმის შესრულება შეიძლება მხოლოდ რუსეთის დემოკრატიის დახმარებით, რაც მან კარგათ უნდა იცოდეს. ტროცკის წინააღმდეგ სკობელევი ამბობს, ვ ქრობა მრეწველობის მოადგილის შოვნის შესახებ, რომ აქ პირადობას კი არა პრინციპი სწყვეტს საქმეს. რაც შეეხება მათ, რომლებიც, როგორც ტროცკიმ სთქვა, რევოლიუციის აღებას დამშვიდო აპირებენ (?) დროებითი მთავრობა აჩვენებს მათ ადგილს. დასასრულ სკობელევი აცხადებს, რომ 7 ივნისს შესდგება ექვსი მინისტრის კრება, რომელზედაც შეიმუშავებენ საკითხს დიდ სახელმწიფო დაწესებულების და სამეურნეო საქმის მოწყობის შესახებ.

ყრილობის მეოთხე დღეა. თავმჯდომარეობს ჩხეიძე. კურტიცკი მოაგონებს, რომ 6 ივნის კრონშტადის აჯანყების წლის თავია და წინადადებას აძლევს ამხანაგებს პატივი სცეთ გმირთა ხსოვნას. ყველანი ფეხზე დგებიან. დელეგატი საფრანგეთში მყოფ ჯარის სახელით სალამს უძღვნის ყრილობას და აცხადებს, რომ ჯარი მზად არის სიკვდილამდე ერთგულათ დაიცვას რევოლიუცია. კითხულობენ გლეხთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის მისალმების დეპეშას. აფქსენტიევი სალამს უძღვნის ყრილობას გლეხების სახელით და სურვილს აცხადებს, რომ რევოლიუციის მესამე წევრი გლეხობა მუშა და ჯარისკაცებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული წავიდეს წინ და მაშინ რუსეთის დემოკრატიას ხელს ვერაფერი შეუშლის ახალ თავისუფალ რუსეთის აშენებლათ. (ტაში). სახალხო სოციალისტი სოტნიკოვი ამტკიცებს, რომ წმინდა სოციალისტური მთავრობა ეხლა ყოვლად შეუძლებელია რუსეთში. რუსეთის ხალხი ჯერ ვერ არის ორგანიზაციულათ შეკავშირებული და სოციალისტურ მთავრობის შეცდომებს მისი რეაქციის უფსკრულში გადაჩეხვა შეუძლია. წმინდა ბურჟუაზიულ სამინისტროს ფაქტიურათ არავითარი ძალა უფლება არ ექნებოდა. მაშასადამე ერთათ ერთი გზა დღეს არის—კოალიციონური სამინისტრო. ბოლშევიკი კამენევი (როზენფელდი) ვრცელ სიტყვას ამბობს ლენინის დებულების განსამარტებლათ და წინადადებას იძლევა ყურადღება მიაქციონ რა გააკეთა მთავრობამ ერთი კვირის განმავლობაში. საჭიროა რევოლიუციონური ზომები. მთავრობამ ეს ზომები არ მიიღო და არ შეუძლია მიიღოს. მას არ ძალუძს დაანგრიოს რეაქციონერთა მიერ სახელმწიფო დუმაში გაკეთებული ბუნაგი. კოალიციონურმა სამინისტრომ საქმის მდგომარეობა გააუარესა, რადგან კონტრ-რევოლიუციამ და ბურჟუაზიამ სოციალისტ მინისტრები დამცველებათ გამოიყვანა რევოლიუციონურ საქმეების გადასადებ გადმოსადებათ. სეპარატიული ზავის შესახებ კამენევი ამბობს, რომ ეს მათ მოქმედებას არ შეადგენს. იგინი ცდილობენ, რომ რუსეთი არც გერმანიის და არც ინგლის-იაპონიის ახალშენათ არ გადაიქცეს. იგინი მოქმედებენ მსოფლიო რევოლიუციის ფარგალში და მხოლოდ ამ რევოლიუციას შეუძლია დაამსხვრიოს ის ჯაჭვები, რომლებითაც დაჭედილია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი.

სოც.-რევოლიუციონერი ფილიპპოვი აღნიშნავს პირველ სამინისტროს უვარგისობას, იცავს კოალიციურ სამინისტროს პრინციპს. ნიკოლსკი (ირკუტსკი) იცავს კოალიციურ სამინისტროს, ვრცელი სიტყვით ეხება ბოლშევიკების იდეოლოგიის ფუქსავატობას და ფაქტებით ამტკიცებს თუ რა დამღუპველი გავლენა აქვს ლენინს ბნელ და შეუგნებელ მასაზე. ნიკოლსკი აღნიშნავს, როგორ გაიგეს კრონშტადის ამბები სხვადასხვა ადგილას მაგ. კრასნოიარსკში, სადაც ბოლშევიკებმა გამოაცხადეს ავტონომიური რესპუბლიკა, რომელმაც ჩქარა დალია სული. ვაჭრობის წინააღმდეგ მიღებულმა რევოლიუციონურმა ზომებმა ის გამოიწვია, რომ ყველა მაღაზიები საქონლისგან დასცალეს. გემზე მოსამსახურეთა შორის პროპაგანდამ გამოიწვია ის, რომ კრასნოიარსკი მთელ ქვეყანას მიაწყდა. ეხლა რომ სახელმწიფო დუმის არჩევნები მოხდეს, ბოლშევიკის პოლიტიკის წყალობით, კრასნოიარსკის მცხოვრებთა ორი მესამედი თავის ხმას მეტათ ბნელ ფრაქციას მისცემდა. (მქუხარე ტაში).

საღამოს კრებაზე ბოლშევიკები და გაერთიანებული ს.-დემოკრატ ინტერნაციონალისტები განაგრძობენ მთავრობის კრიტიკას და საზოგადოთ სოციალისტ მინისტრების. კერძოთ ზინოვიევი აღნიშნავს, რომ დიდი ხანი არ არის, რაც სოციალისტების სამინისტროში შესვლის საკითხი სადაო იყო. დიდი ხანი არ არის რაც ყველა სოციალისტები ამის წინააღმდეგები იყვნენ. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. კოალიციურმა მუშაობამ ვერაფერი ნაყოფი გამოიღო. მინისტრ-სოციალისტებმა თავიანთ განმარტებებში ვერ მოგვცეს დადებითი პროგრამა. დროებით მთავრობა გაუბედავათ მოქმედებს. ის უარსჰყოფს ბოლშევიკების წინადადებას გარეკოს დუმა, რადგან ის რევოლიუციის მტერია, მის უკან სდგას ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზია და როდზიანკო და მილიუკოვი ბიუკენენთან ერთად. რუსეთის რევოლიუციას მხოლოდ ერთი საშველება აქვს—ყველაფრის სასწორზე დადება. ერთი გზა—დასდონ თავი სოციალურ რევოლიუციისთვის. კრილენკო სასტიკათ ეხება კერენსკის და ამბობს, რომ მას ერთი თვის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია. მხოლოდ ჯარისკაცებმა მას ავანსათ გამოუცხადეს ნდობა. კრილენკოს წინააღმდეგ ლაპარაკობს ფრონტის რამოდენიმე წარმომადგენელი და ჰპირდება მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას. კრების დასასრულ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი წერეთელი პასუხს აძლევს ერთ ორატორს, რომელმაც სთქვა, რომ წერეთელის ირკუტსკის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ ყოფნის დროს და მინისტრად დანიშვნის შემდეგ წინააღმდეგობას ხედავს მის მოქმედებაში. წერეთელი ამტკიცებს, რომ აქ არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს. ის მუდამ ერთი გზით მიდიოდა. ერთგვარათ მოქმედებდა და მომავალშიაც ამ გზას არ გადაუხვევს. ირკუტსკში მოქმედებდა რევოლიუციის პირველ დღეს, როცა ცენტრთან არავითარი კავშირი არ იყო გაბმული. მაშინდელი მოქმედების ახლანდელ პირობებში გადმოტანა, როცა გაერთიანებული მთავრობა არის, მოგვაგონებს ზღაპრის ერთ ადგილს, სადაც მგზავრმა უთხრა მიცვალებულის გამოსვენებაზე: „ზიდო და ვეღარ გადაზიდო“ და მექორწილეებს კი „სულთათანა“ უგალობა. (მქუხარე ტაში).

# ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გრიმი სტოკჰოლმში.

**სტოკჰოლმი.** 7 ივნისი. სტოკჰოლმში მივიდა რობერტ გრიმი; მან ინახულა ციმერვალდის მიმართულების წარმომადგენელნი და საუბარი გამართა. ჟურნალისტებს ინტერვიუზე უარი უთხრა და შეპირდა წერილობით განმარტავს ყოველივე იმას, რაც პეტროგრადში ნახა.

### ანარქისტების მოქმედება.

**პეტროგრადი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და მუშათა დეპუტატების საბჭომ ტომსკიდან აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: ამნისტიით განთავისუფლებული კატორღელები, რომელნიც ჯარში გაიწვიეს, შეურთდენ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მძარცველებს და ანარქისტების სახელით გაძარცვეს ბანკები, მაღაზიები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. გაგზავნეს აგრეთვე ჯგუფები სხვა ქალაქებში საყაჩაღოთ. ამის გამო მუშათა დეპუტატების საბჭომ და სოც.-დემ. და სოც.-რევ. თაოსნობით ქალაქში გამოცხადდა სამხედრო წესები. დააპატიმრეს 1500 კატორღელი და 800 მათი თანამონაწილე. ზოგ როტებში შეტაკება მოხდა. მოკლულია 20 კაცი. ქალაქში ეხლა წესიერებაა.

### მინისტრის ამხანაგის დათხოვნა.

**პეტროგრადი.** იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ზარუდნი სამსახურიდან დაითხოვეს.

### ახალი სამინისტრო ავსტრიაში.

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იტყობინებიან, რომ იმპერატორმა კლამ-მარტინიცს მიანდო კაბინეტის შედგენა. ის უკვე შეუდგა პარტიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას.

### ქალთა საარჩევნო უფლება ინგლისში.

**ლონდონი.** თემთა პალატამ ხმის უმრავლესობით 385, წინააღმდეგ 55 მიიღო როგორც საერთო პრინციპი ქალთა საარჩევნო უფლება.

### ინციდენტი ანარქისტებთან.

**პეტროგრადი.** საღამოს გაზეთების ცნობით ანარქისტებთან მომხდარ ინციდენტს „რუს. ვოლია“-ს სტამბის მითვისების გამო, ბოლო მოეღო. პირობის თანახმათ ანარქისტები გაანთავისუფლეს. დეპუტატთა საბჭოების ყრილობის წევრები, რომლებსაც ანარქისტებთან მოლაპარაკება ჰქონდათ. ამბობენ, რომ ნარქისტების პასუხის გებაში მიცემა მთავრობის საქმეაო.

## ახალი ამბები

**თეთრ ბილეთებიანის ჯარში გაწვევა.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა: ჯარის ნაწილების შესავსებათ ახლავე მოხდეს შეუმოწმებელი თეთრ-ბილეთიანების შემოწმება, რომელთაც კენჭი ითამაშეს 1916—1906 წ. 1905 წლისა და იმათზე უფრო ხნიერი თეთრბილეთიანების შემოწმება არ მოხდება. 1905 წლისა და იმათზე ხნიერნი არც თეთრ ბილეთიანები და არც მეორე ხარისხის მოლაშქრენი არ იქნებიან მოწვეულნი, ვინაიდან სოფლად მუშა ხელის დიდი ნაკლებობაა.

◆ **დაპატიმრებული „ოხრანკის“ ჯაშუშების** შესახებ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: ჯერ-ჯერობით ისინი დარჩნენ ციხეში დაპატიმრებული. მიიღეს საეროზო კავშირის წინადადება, რომ მათი ოჯახების წევრებს რაიმე სამუშაო უშოვნონ.

◆ **ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა** უარი უთხრა პოლონელთა ორგანიზაციებს, რათა მისთვის ერთი ადგილი დაეთმოთ აღმასრულებელ კომიტეტში.

◆ **მუშების მოთხოვნილება.** სიმენს-შუკერტის საელექტრონო სადგურის მუშებმა მოსთხოვეს ადმინისტრაციას, რათა დაითხოვოს ადგილიდან ტეხნიკი პუში, როგორც მუშათა ინტერესების წინააღმდეგ მომქმედი. აგრეთვე მუშები მოითხოვენ უმიზეზოთ დათხოვნილი მუშების ხელ-ახლა მიღებას, საქმე გასარჩევათ გადაეცა მომრიგებელ კამერას.

◆ **წყლების სამმართველოს** რევიზიის მოსახდენათ საგანგებო კომიტეტმა განსაკუთრებული სარევიზიო კომისია შეადგინა, რომელშიაც სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების და კავკასიის ჯარების საბჭოს წარმომადგენლები.

◆ **ინჟინერ ზავალიშინს** საგანგებო კომიტეტმა ციხეში დაპატიმრება საოჯახო დაპატიმრებით შეუცვალა.

◆ **პროფესიონალურ კავშირების** ცენტრალურ ბიუროს სხდომაზე აირჩიეს სამი დელეგატი საქალაქო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ, რომელმაც უნდა აწარმოვოს ქალაქის თვითმართველობის არჩევნები.

◆ **ხევსურების დეპუტაციამ** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს იარაღი სთხოვა ქისტების თავდასხმისაგან თავის დასაცავათ.

◆ **ხევსურებსა და თათრებს** შორის ამტყდარი უთანხმოება ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის მონდობილობით თელავის მაზრაში გამგზავრებულმა კომისიამ მოაგვარა. ორივე მხარეთა შორის შეთანხმება მოხდა და ამიერიდან მიწის საკითხის გადაწყვეტამდე, ხევსურებს ნება ეძლევა თავიანთი საქონელი საძოვრათ თათრების მამულზე გაუშვან.

◆ **ქურთებზე თავდასხმა.** ამ დღეებში ტფილისში ამბავი მოვიდა, თითქოს სომხეთა მეხუთე ბათალიონი ბერკრიკალაში თავს დასხმოდეს ქურთებს. ამის გამო ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა განსაკუთრებული კომისია გაგზავნა ადგილობრივ საქმის გამოსარკვევათ.

◆ **ტფილისის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტისათვის**, როგორც ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი დეპეშით აცნობებს სახალხო განათლების მინისტრს, ყველაფერი მზათ ყოფილა. ამ ხანათ გაიხსნება ორი განყოფილება: საეკონომიო და სამეურნეო.

◆ **რკინის გზის ბილეთების ფასის** მომატება ძალაში შედის 10 ივნისიდან. ყველა კლასის ბილეთებს და აგრეთვე „ბაგაჟს“, რომელიც ბილეთით იგზავნება,—50 პროც. მიემატება. ტვირთის გადატანას, როგორც დიდის, აგრეთვე პატარა სიჩქარით 200 პროც. ემატება არსებულ ფასთან შედარებით.

◆ **პურის ფქვილი და შაქარი.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს 20 ვაგონ ფქვილს აძლევს საინტენდატო. ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებამ 5—6 ვაგონი შაქარის მიცემა აღუთქვა. ამ შაქარს დაურიგებენ მცხოვრებთ ივნისში. ეს შაქარი არ იკმარებს. კიდევ არის საჭირო 10 ვაგონი შაქარი.

◆ **ტყავის დამმუშავებელი მუშების პროფ. კავშირის** გამგეობის სხდომაზე განიხილეს, სხვათა შორის, ზოგიერთი მუშების მიერ ცალ-ცალკე გამოსვლისა და გაფიცვის საკითხები. ასეთი გამოსვლები და გაფიცვები კავშირის აზრით ახლანდელ დროს არ შეჰფერის და მოუწოდებს ყველა ამხანაგებს თავიდან აიცილონ ის, რაც იწვევს არევ-დარევასა და ანარქიას. შემდეგ გამგეობამ განიხილა სახელოსნო გამგეობის გამოცემული ბრძანება შეგირდთა-დმი, ეს საკითხი მან გასარჩევათ პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გადასცა. ამასთანავე გამგეობის აზრით სახელოსნო გამგეობა უნდა მოისპოს, ვინაიდან ის ახლანდელ დროს არ შეჰფერის. ადესაში სახელოსნო გამგეობანი მოსპობილიაო,—განაცხადეს.

◆ **საბურთალოს აღმასრულებელმა** კომიტეტმა მოაწესრიგა ის უთანხმოება, რომელიც მამულის პატრონ გაბაშვილისა, მის მოიჯარადრეთა და მცხოვრებთ შორის იყო ჩამოვარდნილი. მამული გაბაშვილმა საბურთალოს მცხოვრებთ გადასცა იჯარით ხელსაყრელ ფასებში. საიჯარო აღებული ფულიდან მოიჯარადრეთ დაუბრუნა ათასი მანეთი.

◆ **განთავისუფლებულ პოლიტიკურთა** კომიტეტს შინა მრეწველობის კავკასიის კომიტეტმა შესწირა ორასი წყვილი წინდა და ამდენივე ხელთათმანები.

◆ **მადლობის გამოცხადება.** მრეცხავთა პროფესიონალური კავშირის წევრები მადლობას უცხადებენ მკერვალთა კავშირს, რომელმაც ამხანაგური თანაგრძნობა-დახმარება აღმოუჩინა მათ გაფიცულთა სასარგებლოთ 200 მანეთის შეწირვით.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების** სექციის ტეხნ. ტერმინოლოგიის და ლიტერატურის კრება დანიშნულია დღეს, საღ. 8 ს. ელისაბედის ქ. № 98 ყიფშიძესთან. სექცია სთხოვს ყველას, ვისაც სურვილი აქვს ამ დარგში მუშაობისა დაესწრონ ამ კრებას, რომელიც იქნება გაგრძელება წარსული კვირის პირველი კრებისა. აქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა.

◆ 11 ივნისს ბათუმის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ბათუმის განყოფილების წევრთა წლიური საერთო კრება. განსახილველია: გასული წლის ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა და სხვა კითხვები.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე, პირველ ქალების გიმნაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა) მეოთხე რაიონის რ. ს. დ. მ. პარტიის დროებითი კოლექტივი იწვევს ხსენებულ რაიონის წევრთა საერთო კრებას. დღის წესრიგი: დელეგატების არჩევა საოლქო ყრილობაზე დასასწრებლათ და მუდმივი კოლექტივის არჩევნები. ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დიდუბის სარკინისგზო სკოლაში მოქალაქეთა კრებაა. თემა ქართულად: „საქალაქო არჩევნები“.

— დილის 11 საათ. მეოთხე ბატარეის ჯარისკაცთა კრებაა. თემა: „ომი და ზავი, დროებითი მთავრობა და საქალაქო არჩევნები“.

— საღამოს 7 ს. ავტომობილთა სახელოსნოს ჯარისკაცთა კრებაა, პაველოვის ქუჩა № 10. თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— დღეს 3 საათ. რკინის გზის სადგურზე ჯარისკაცთა კრებაა. თემა: „მიმდინარე მომენტი და საქალაქო არჩევნები“.

— საღამოს 6 ს. რეალურ სასწავლებლის შენობაში მეორე რაიონის სოც. დემ. მუშ. პარტ. წევრთა საზოგადო კრებაა. დღის წესრიგი: აგრარული პროგრამა, მოხსენებას წაიკითხავს კ. გვარჯალაძე, დელეგატების არჩევა საოლქო ყრილობაზე და მიმდინარე საკითხები.

— საღ. 6 საათ. სასახლეში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კრებაა.

— 11 ივნისს ნაშუადღევს 5 საათზე მეორე კომერციულ სასწავლებლის შენობაში მოქალაქეთა კრებაა. თემა: „საქალაქო არჩევნები“. ილაპარაკებენ ამხ. ნესტორ ცერეცაძე და პოპოვი.

— დღეს, 9 ივნისს მოხდება სასურსათო უბნების წევრთა საერთო კრება. საღამოს 6 საათზე (კრუჟოკში).

— 11 ივნისს, დილის 8 ნახ. საათზე დურგლების პროფესიონალური კავშირის წევრთა კრებაა. (პეტრედიდის ქ. სახ. № 18). კრება გაარჩევს კავშირის წესდებას. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ.

— შაბათს, 10 ივნისს, საღამოს 6 საათზე უდელნი ქუჩაზედ მე-6-ე ვაჟთა გიმნაზიაში № 3 დანიშნულია ქალთა საზოგადო დიდი მიტინგი. თემა: ქალაქის თვითმართველობის არჩევნები. ვთხოვთ ყველა მოქალაქე ქალებს დაესწრონ კრებას.

**შეცდომის გასწორება.** ჩვ. გაზ. № 49-ში მოთავსებულია შემოწირულება ვანო კობაიძის მიერ; შეცდომით გამორჩენილია შემოწ. თანხის რაოდენობა, რომელიც უნდა იყოს 67—10 კ.

## „კონსტიტუცია“ ბუხარაში.

ბუხარა და ხივას, რუსეთის ალებ-მიცემობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან გააქვთ: ორ მილიონ ფუთამდე ბამბა, მილიონნახევარი ცალი ბუხარის ბატკნის ტყავები, მატყლი, გამხმარი ხილი, ბრინჯი და სხ. რუსეთიდან შემოაქვთ დამუშავებული საქონელი: ფართლეულობა, ძაფი, შაქარი, ჩაი, ქაღალდი და სხვა საფაბრიკო ნაწარმოები. თუმცა ორივე საემირო და სახანო სამფლობელოს ქვეშ არის, მაგრამ საშინაო კითხვებში დამოუკიდებლათ ითვლებიან. როგორც ბუხარა ისე ხივა ნამდვილი აღმოსავლეთის დესპოტიური სამფლობელოა, სადაც ემირი (ბუხარის მეფე) და ხანი (ხივის მეფე) სრული ბატონ-პატრონია თავისი ქვეშევრდომისა. სიცოცხლე და ქონება, ცოლი და შვილი მეფის საკუთრებაა და რაც სურს იმას უზამს. რომ უფრო ადვილათ წარმოიდგინოს მკითხველმა აქაური „პიროვნების თავისუფლება“ მოვიყვან შემდეგ მაგალითს: ხუთი წლის წინეთ ხივის ხანმა სამსახურიდან დაითხოვა ორი ძმა დივანბეგები, რომელსაც უმაღლესი ადგილი ეჭირათ სახანოში და ერთს მათგანს პოლკოვნიკის ხარისხიც ქონდა რუსეთის მთავრობის მიერ მიცემული. ხანმა ორივე ძმებს ჩამოართვა ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება, გაძარცვა ძვირფასი ფარჩის ხალათები, როგორც კაცებს ისე მათ ცოლებს და ისე გაუშვა სასახლიდან ქუჩაში. ასეთი შემთხვევა ხშირია ბუხარაშიც. სიკვდილით დასჯა, სამუდამოთ ორმოში ჩაგდება, ბოლტების დაკვრა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ყოველივე ეს ხდებოდა ნიკოლოზ მეორის მთავრობის თვალის წინ, რომელიც არავითარ ზომებს არ ხმარობდა მათ შესაჩერებლათ. პირიქით ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი პროვოკაციის გზას ადგა და ღვრია წყალში თევზის ჭერით ჯიბეებს ისქელებდენ. [ბუხარის მცოდნე მწერალმა ლოგოფეტმა, ამ მხარეს „უსამართლოების მხარე“ უწოდა (страна безправья) თავის თხზულებაში და ყოველივე მხრით აწერა ეს ბუნებით მდიდარი, მხოლოდ ემირისა და მისი მოხელეების მიერ გაცარცული მხარე.

ბუხარის დედა ქალაქი ბუხარაა, რომელიც მთელ სახანოში გადამწყვეტს როლს თამაშობს. ამ ვეებერთელა ქალაქს შემორტყმული აქვს მაღალი და სქელი გალავანი და ქალაქში შესვლა შეიძლება მხოლოდ ალაყაფის კარებით, რომლებიც საღამოს ცხრა საათზე, გარდა ერთისა, ყველა იკეტება. ქალაქში სცხოვრობს ემირი, უთვალავი მოხელეებით და ძლიერი სამღვდელოებით. უკანასკნელი მთელი სახელმწიფოს პოლიტიკურ კულტურულ საქმეს განაგებს. სარწმუნოება, სასამართლო, სწავლა-განათლება მათ ხელშია.

ემირს ყავს ყუშბეგი, ანუ ემირის მოადგილე, (პირველი მინისტრი), რომელიც განაგებს საშინაო და სამხედრო საქმეებს, კაზიკალიანი წარმოადგენს უმაღლეს სასამართლოს (სენატს) და იშანრაისი აწარმოებს სარწმუნოების და სამღვდელოების საქმეს (სინოდი).

როცა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ მეფის ტახტთან ერთათ ძველი წესწყობილებაც დაანგრია და მისს ადგილას თავისუფლება და თანასწორობა გამოაცხადა, თურქესტანის პრესამ და საზოგადო მოღვაწეებმა ღაღადეს ხმა ბუხარაში გამეფებული დესპოტიზმის წინააღმდეგ, და განაცხადეს, რომ თავისუფალი რუსეთი ვერ შეურიგდება ამ მხარეში ცარცვა-გლეჯახო. კერძო ლაპარაკშიც აღმოჩნდა, რომ ბუხარაში არსებობს ჯგუფი „ახალგაზდა ბუხარლებისა“, რომელიც თავის თავს „ჯადიდს“ (ახალი) ეძახიან და თავისუფლი რუსეთიდან ელიან ბუხარის ხალხის განთავისუფლებას. ყოველივე ამას ყურადღება მიაქცია რუსეთის რეზიდენტმა (ელჩი) და პროექტით ჩვენს დროებით მთავრობას მიმართა.

გაზიდდა მიწერ მოწერა საგარეო მინისტრთან ბუხარაში კონსტიტუციის შემოღების შესახებ. ემირმა ზოგიერთ მოხელეებთან და მულებთან ერთათ რეზიდენტის რჩევით და დახმარებით შეადგინა მანიფესტი, რომელიც გამოცხადებულ იქნა ქალ. ბუხარაში 7 აპრილს. თუმცა მანიფესტი მეტათ უშინაარსო და უფერული იყო, მაგრამ მანიფესტში მაინც ნათქვამი იყო, რომ ქალ. ბუხარაში გაიხსნება სტამბა, დაარსდება ხაზინა, რომელიც ანგარიშს გაუწევს სახელმწიფოს შემოსავალ გასავალს, დაენიშნება მოხელეებს განსაზღვრული ჯამაგირი (ეხლა ისინი ჯამაგირს არ ღებულობენ, მიუხედავათ ამისა ყველა მდიდარია) და თავი და თავი ბუხარაში თავს მოიყრის ოცდაათამდე ქალ. ბუხარის მცხოვრებთა მიერ არჩეული პირები, რომლებსაც საათობრიო ხმა ექნება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაშიო. მანიფესტი გამოცხადებული იქნა მეჩეთებში სამღვდელოების და ხალხის თანდასწრებით.

რვა აპრილს დილით თერთმეტს საათზე ქ. ბუხარის უმთავრეს ქუჩაზე „ახალგაზდა ბუხარელებმა“ მოახდინეს მანიფესტაცია წითელი დროშით და რევოლიუციონური სიმღერით. მანიფესტანტები გაემართენ ემირის სასახლისკენ, რომ მადლობა განეცხადებიათ თავისი მფლობელისთვის, მაგრამ მათ გზაში გადაეღობა რამოდენიმე კაცი და აცნობეს, რომ სასახლის წინ თავმოყრილია დიდძალი მულები და თუ მანიფესტანტები დაინახეს უთუოდ სისხლი დაიღვრებაო. მანიფესტაცია მაშინვე დაიშალა. სასახლის წინ მოედანზედ ბრბო კი თანდათან მატულობდა, რომელიც ითხოვდა მანიფესტის გაუქმებას და ჯადიდების სასტიკათ დასჯას. ბრბოს მეთაურობდენ მულები. იგინმა ხალხს განუცხადეს, რომ სარწმუნოება გათელილია ჯადიდების მიერ და ამიტომ ყველა მაჰმადიანი ვალდებულია მოითხოვოს მათი დასჯა და მანიფესტის გაუქმებაო. გარდა მულებისა მოედანზე იყო შეუგნებელი ხალხი მოხუცი ვაჭრები, „სტუდენტობა“ და ამ რიგათ ისეთი შთაბეჭდილება ხდებოდა, რომ თითქოს მთელი ბუხარა სასახლის წინ თავმოყრილი ითხოვს მანიფესტის გაუქმებასო. ბრბო გრგვინავდა, ბობოქრობდა, ყვიროდა და ჯადიდებს ემუქრებოდა. ზოგიერთი მულები თავპირში ხელებს იცემდენ და სტიროდენ—ქეყუნა იღუპებაო. საღამოს ბრბომ მოითხოვა ახალი კაზიკალანის და იშანრაის გადაყენება. მაშინ კაზიკალიანი გამოვიდა მათ წინ და ეცადა სიტყვით დაეწყნარებია, მარა გამხეცებული მულები მიაცვივდენ და ძრიელ სცემეს, რომელშიაც ემირის ცხენოსანი ჯარი იღებდა მონაწილეობას. იმავე საღამოს ემირმა გადააყენა კაზიკალიანი და იშანრაისი და ისევ ძველი დანიშნა.

საღამოს ხალხი დაიშალა იმ პირობით, რომ მეორე დღეს დილით აქავე უნდა შეკრებულიყვნენ და ასეც მოხდა. ეხლა მოითხოვეს რამოდენიმე ჯადიდების შეპყრობა და მათი სიკვდილით დასჯა, რადგანაც ჯადიდების მეთაურები წინა ღამით ახალ ბუხარაში წავიდენ. ბრბო შეუვარდა თითეული პირების ბინას, რომელზედაც ეჭვი ქონდათ, რომ მანიფესტს თანაუგრძნობსო, მიჰყავდათ სასახლის წინ და ყუშბეგის თან დასწრებით შოლტებით სჯიდენ. ამ რიგათ დასჯილი იქნა ათამდე კაცი. მათ შორის ერთი ორი დღის საშინელი მწუხარების შემდეგ გარდაიცვალა ახალ ბუხარაში, სადაც დიდის პატივით დაასაფლავეს. ეს იყო პირველი მსხვერპლი ბუხარის რევოლიუციისა.

მესამე დღეს მანიფესტის გამოცხადებისა მულები ქ. ბუხარაში გაბატონდენ და იმას ჩადიოდენ რაც სურდათ. თან მოსალოდნელი იყო აქ მცხოვრები ებრაელების და სპარსელების დარბევა ხალხიდან. როგორც კი ბუხარაში საქმე გამწვავდა, მაშინვე ახალი და ძველი ბუხარის აღმასრულებელმა კომიტეტმა რეზიდენტთან ერთათ შეუდგენ მოქმედებას. გამოიწვიეს ქ. სამარკანდიდან ორი როტა ჯარის კაცებისა, რომელსაც თან მოჰყვა სამარკანდის აღმასრულებელ კომიტეტის სამი წევრი. ამ რიგათ სამი აღმასრულებელი კომიტეტის არჩეული რამოდენიმე წევრები, რეზიდენტი თავისი თანაშემწით და ჯარი შევიდა „დამოუკიდებელი“ ბუხარის გალავანში და ემირის სასახლეს მიადგა. ეს მოხდა საღამოს და ამიტომ მოედანზედ ხალხი ძრიელ ცოტა იყო. ამ საღამოს ვინახულეთ მხოლოდ ყუშბეგი და დავათვალიერეთ სატუსაღოები, რის შემდეგ ჯარი უკანვე დაბრუნდა და ბუხარის კარებთან დაბინავდა, სადაც დღესაც სდგას. მეორე დღეს ემირმა მიიღო კომიტეტის წევრები და რუსულ ენაზედ სიტყვით მოგვმართა, რომ ის დაიცავს მის მიერ გამოცხადებულ მანიფესტს. როგორც კომიტეტის წევრებმა ისე რეზიდენტმა ემირს აუხსნა, რომ თუ ბუხარა არ დაწყნარდება, არა სასურველი შედეგები მოჰყვებაო. წინა დღით ემირს მიღებული ქონდა თურქესტანის ჯარის უფროსის დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბუხარაში არეულობისთვის პასუხის მგებელი იქნება თქვენ (ემირი) და რუსეთის რეზიდენტიო. ამ დეპეშის შინაარსი მოაგონა რეზიდენტმა ემირს. ემირიდან, როგორც ამას მოითხოვს ბუხარის წესი კომიტეტის წევრები და რეზიდენტი შევიდა ყუშბეგთან, სადაც ორი საათი დაჰყო.

როცა სასახლიდან გამოვედით ხალხი აღტაცებით შეგვეგება, რაც ჩვენთვის გასაკვირალი იყო. როგორც მერე აღმოჩნდა ვიღაცას ხალხისთვის განეცხადებია, რომ ემირმა რუსების რჩევით გააუქმა მანიფესტი და ყველაფერი ძველებურათ დარჩებაო.

ამის შემდეგ რამდენიმე დღით სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ როგორც კი ჯადიდების მეთაურებმა სცადეს ქალაქში დაბრუნება რეზიდენტის და კომიტეტის წევრების თანხლებით, მულები ისევ აჯანყდნენ, მოიყარეს სასახლის წინ თავი და უფრო ენერგიულათ მოითხოვეს ჯადიდების სიკვდილით დასჯა. ბრბო შეეცადა სასახლის კარების შემტვრევას, მაგრამ ისინი მათრახის საშუალებით გარეკა თორმეტმა რუსის ყაზახმა, რეზიდენტის მხლებლებმა. ამ დროს დასჭრეს ერთი ყაზახის ცხენი და ყაზახს კეტი დაჰკრეს ზურგზე. სასახლიდან რეზიდენტმა აცნობა ქალაქის კარებთან დაბინავებულ ჯარს, რომ ის მზათ ყოფილიყო ქალაქში შესასვლელათ მაშინ, თუ მდგომარეობა უფრო გამწვავდებოდა. ეჭვი არ იყო, რომ, თუ ჩვენი ჯარი ქალაქში შევიდოდა—შეტაკება მოხდებოდა. საღამოს ათ საათზე სიბნელის საშუალებით ყაზახების ტანთსაცმელში გადაცმული ჯადიდები კომიტეტის წევრებთან და რეზიდენტთან ერთად ყაზახების საშუალებით ქალაქიდან გამოვიდენ. მულებმა მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს, რომ ჯადიდების მეთაურები სასახლიდან სადღაც გაქრენ. ემირმა გადააყენა ყუშბეგი. ეხლა ბუხარაში ვერც ერთი ბუხარელი მანიფესტის გახსენებას ვერ გაბედავს. რუსეთის დროებითი მთავრობას კი გადაწყვეტილი აქვს—გამონახოს ახალი გზა და გაატაროს ცხოვრებაში მანიფესტში გამოცხადებული რეფორმები.

დედა-მიწაზე ამჟამად ძნელი მოსაპოვებელია იმ რიგად დაჩაგრული და მონობით შეწუხებული და გატყავებული ხალხი, როგორიც არის ბუხ. სამეფოში. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ვინც მანიფესტის შემუშავება-გამოცხადებაში მონაწილეობა მიიღო, ვერ შესძლო, თუ არ ისურვა, მისი შინაარსი უბრალო ხალხისთვის აეხსნა—გაეგებინებია. მანიფესტი დაწერილია ხალხისთვის გაუგებარ არაბულ ენაზე. ამით ისარგებლეს მულებმა და დაარწმუნეს ხალხი, რომ მანიფესტი სარწმუნოების დანგრევასა და ემირის ტახტიდან ჩამოგდებას ნიშნავსო.

გ—შა დ—ძე.

## კავკასიის ქალაქთა კავშირის თანამშრომელთა დელეგატების ყრილობა.

(6 ივნისის სხდომა).

გუშინდელი ინციდენტის გამო პრეზიდიუმი ხელმეორეთ აცხადებს თავს გადამდგრათ. დროებით თავმჯდომარის ალაგს იჭერს ი. გოგოლაშვილი. ის მიმართავს კრებას მოკლე სიტყვით, გამოთქვამს მწუხარებას გუშინდელი ინციდენტის გამო და მოუწოდებს კრებას გამოუცხადონ ნდობა პრეზიდიუმს. კრება ერთ სულოვანი ტაშის ცემით ნდობას უცხადებს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმის წევრები თითეული იძლევა ცალ-ცალკე განმარტებებს და ყოვლად შეუძლებლათ სთვლიან დაუბრუნდენ თავის ადგილას, მანამდი სანამ ფურზაურის მომხდენი არ დაისჯებიან. კრება ხელ მეორეთ სთხოვს მათ დაიჭირონ თავიანთი ალაგი. პრეზიდიუმი გადის სათათბიროთ და ნახევარი საათის თათბირის შემდეგ თავმჯდომარე ბებურიშვილი პრეზიდიუმის სახელით აცხადებს შემდეგს: პრეზიდიუმი დაუბრუნდა თავის მოვალეობას იმ პირობით თუ ფრაქციები გამოიტანენ თავიანთ შესაფერ დადგენილებებს და თან აირჩევენ განსაკუთრებულ შერეულ კომისიას, რომელიც თავის მხრით გამოარკვევს საქმეს. კრება წინადადებას ღებულობს და პრეზიდიუმი უბრუნდება კრებას.

ორივე ფრაქცია (ს. დემ. ბოლშ. და ს.-რ., დაშნ. და ს.-ფ.) იწვევენ ფრაქციულ კრებებს საღამოს 6 საათისთვის.

კრება მორიგი კითხვების გარჩევას იწყებს და იხურება ნაშუ დღევის 3 ნახევარ საათზე.

საღამოს 6 საათიდან იკრიბებიან ფრაქციები. ორი საათის თათბირის შემდეგ ბლოკი ათავებს თავის მუშაობას და შესაფერი რეზოლიუცია გამოაქვს.

ს. დემ. სხდომა გრძელდება ნაშუაღამევის პირველ საათამდე. ხვალისის გამოსვლა დაგმო ფრაქციამ და მას გაფრთხილება გამოუცხადა.

**ივლ. ესიკაშვილი.**

## ალ. შარაშიძის და მასწავლებელთა შორის პარტიულ სასამართლოს რეზოლიუცია.

1917 სა წელსა ივანობისთვის 1-სა დღესა პარტიულმა სასამართლომ ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის მონდობილობით, 21 აპრილის თარიღით გაარჩია შემდეგი ბრალდებები, წამოყენებული ქუთაისის სამეურნეო სკოლის მასწავლებელთაგან: გიორგი დუნდუა, ირაკლი მაჭავა და ალექსანდრე ოობაძის გან ამავე სკოლის გამგე ალექსანდრე შარაშიძის წინააღმდეგ.

1) უპასუხისმგებლობა სასოფლო გაზეთის გამოცემაში.

2) სკოლის ანგარიშის მიუცემლობა.

3) უმიზეზოთ მასწავლებლების დათხოვნა.

4) უსისტემობა პრაქტიკულ მუშაობაში.

5) ხელის შეწყობა მოწაფეთა ზნეობრივ და გონებრივ დაქვეითებაში.

6) შეწყვეტა კოლექტიური სასკოლო რჩევის მასწავლებელთან და მოწაფეებთან.

7) განხეთქილების შეტანა მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის.

8) უყურადღებობა ავადმყოფ მოწაფეებისადმი, რასაც შედეგათ უნდა მოყოლოდეს რამდენიმე მათგანის სიკვდილი.

9) შექმნა ჯაშუშების სისტემისა სკოლის საქმეში.

10) პოლიციის ჩარევა სასკოლო საქმეში.

11) სავადმყოფო შენობის თავის საკუთარ ბინათ გადაქცევა.

12) დარაჯის (Сверхштатный стражникъ) სკოლის ხარჯზე დაქირავება.

სასამართლო შეუდგა რა ამ ბრალდებების გამორკვევას საქმეში აღმოაჩინა საკმაო მასალა; სიტყვიერი ჩვენებები და წერილობითი საბუთები; რომელიც გადასცა მას ორთავე მხარემ და განიხილა რა ეს მასალა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ქუთაისის სამეურნეო სკოლაში პირადულ საქმეებით დაინტერესებულ მომჩივნებს შეუქმნიათ ისეთი ატმოსფერა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება პედაგოგიურ მოთხოვნილებებს. მაგალითად დამტკიცდა, რომ მასწავლებლებს გამოქონდათ პედაგოგიური რჩევიდან პროფესიონალური საიდუმლოებანი, უზიარებდენ მას მოწაფეებს და აჩხედრებდენ სკოლის გამგე შარაშიძის წინააღმდეგ, რაც იწვევდა მოწაფეთა შორის არა სასურველ ექსცესებს, მაგალითად: სკოლის მოწაფეთა შორის ხდებოდა ხშირათ გაფიცვები, რომლითაც თხოულობდენ ამა თუ იმ მასწავლებლის ან გამგის გადაყენება დატოვებას.

გამოირკვა, რომ ზემოაღნიშნული მომჩივნები წესიერად არ ასრულებდენ თავის მოვალეობას, რაზედაც ხშირათ უთითებდა მათ გამგე. მაგალითად იგვიანებდენ, სტოვებდენ ხშირად გაკვეთილებს, თავის დროზე მოწაფეები არ გაყავდათ სამუშაოზე, ამით დეზორგანიზაცია შექონდათ სწავლა აღზრდის საქმეში და არ ცდილობდენ, რომ ერთმანეთში მოეგვარებიათ სოლიდარული მუშაობა, რასაც შედეგათ მოყოლია მოწაფეების გონებრივი დაქვეითება. რაიც შეეხება ზნეობრივ მხარეს მასწავლებლებს მასზე არ უზრუნიათ. გამოირკვა, რომ სკოლაში ადგილი ქონია მოწაფეთა შორის ქურდობას, ლოთობას, ერთმანეთის ცემას და როდესაც გამგეს მიუთითებია ამ სამწუხარო მოვლენებზე მასწავლებლისთვის მათში თანაგრძნობა ვერ უპოვია.

რაც შეეხება ზემოთ წამოყენებულ ბრალდებებს არა თუ არ დამტკიცდა, არამედ უარყოფილი შეიქნა მრავალი საბუთების მიხედვით და სასამართლომ გამოიტანა შთაბეჭდილება, რომ მთელი ბრალდება აშენებულია პირადულ წვრილმან ნიადაგზე და უსაფუძვლოა.

მიუხედავათ ზემოაღნიშნულ პირობებისა გამგე შარაშიძე, როგორც გამოირკვა, ენერგიულად ებრძოდა ზემო მოხსენებულ მოვლენებს და თავის მხრით არ ზოგავდა შრომას და ენერგიას სკოლის საკეთილდღეოთ. გამოირკვა, რომ მას სკოლა ჩაუბარებია მოუვლელი, გაპარტახებული, ათი-ათას მანეთიანი ვალით, რომლის დიდი ნაწილი—ექვსი ათასი მანეთი უკვე გადაუხდია, ბაღი გაუკეთებია, გზები გაუკეთებია, ვენახი, ხეხილი და სათიბი გაუშენებია, სამკურნალო აუშენებია. გაუკეთებია მცენარეებისათვის სათბური და ბოსტნეულის და ხილის საშრობი, სადგომი ადგილი ამოუგია, მოწაფეების რიცხვი 20-დან 80-მდე ასულა და სხვა.

მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში სასამართლომ იცნო გამგე ალექსანდრე შარაშიძე სრულიად უდანაშაულოთ და მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები მასწავლებლებისა, გიორგი დუნდუა, ირაკლი მიქაძისა და ალექსანდრე იობიძის უსაფუძვლოთ.

თავმჯდომარე ანტონ გელაზაროვი.

წევრები: იოსებ კაკაბაძე, ნიკო მგელაძე, ვასილ სხირტლაძე, იულიონ მეგრელიშვილი, დავით ჩხეიძე.

შენიშვნა: სასამართლო აცხადებს, რომ ზემოხსენებულ მომჩივნებმა დუნდუა, მიქაძე და იობიძემ როდესაც ამათმა და შარაშიძემ უკვე დაამთავრეს თავიანთი საჩივრები და ხელი მოაწერეს, მხოლოთ შემდეგ 31 მაისს შემოიტანეს განცხადება, რომელშიდაც მთელ სასამართლოს შემადგენლობას მათი აზრით ხელოვნურათ შედგენილს, უცხადებენ უნდობლობას და ითხოვენ, რომ სასამართლომ არ გაარჩიოს მათი საქმე, რადგან განაჩენს თავისთვის სავალდებულოთ არ იცნობენ.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში რომ მომჩივნებმა თვით გამოაცხადეს კომიტეტის წინაშე თანხმობა რათა მათი ბრალდება გაერჩია პარტიულ სასამართლოს და ხელი მოაწერეს 1917 წლის 21 აპრილის კომიტეტის ოქმზე და შემდეგ სასამართლოს პირველ სხდომაზე განაცხადეს სურვილი საქმის გარჩევისა, რის შემდეგაც ორივე მხარემ მისცა ვრცელი ჩვენებები, სასამართლომ სცნო, რომ სასამართლო შემდგარია და მისი განაჩენები სავალდებულოა მხარეებისათვის.

თავმჯდომარე—ანტონ გელაზაროვი.

წევრები: იოსებ კაკაბაძე, ნიკო მგელაძე, ვასილ სხირტლაძე, იულიონ მეგრელიშვილი, დავით ჩხეიძე.

# სოციალდემოკრატიულ პარტიაში

### დ. ხაშური.

ხაშურის სოც. დემოკ. მუშათა პარტიაში ამ ჟამათ 800 წევრზე მეტი ითვლება, გაზეთი „ერთობა"-კი მხოლოდ 200 ცალი სადღება. მიაქცია რა ამ არა სასურველ მოვლენას ყურადღება კომიტეტმა, თავის მორიგ კრებაზე დაადგინა შემდეგი: მოიწვიოს წევრთა არაჩვეულებრივი კრება და მიმართოს მოწოდებით, რომ თვითეულმა წევრმა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს გაზეთის გავრცელებაში.

— პარ. ს. დ. ორგანიზაციამ მოაწყო აქ პროპაგანდისტთა კურსები. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 52 მსმენელი. მეცადინეობა დაიწყო 5 ივნისიდან, რკინის გზის სასწავლებელში. შესაფერი პროგრამა შემუშავებულია. პირველი ლექცია ამ თემაზე: „სოციალიზმის ისტორია"-ს წაიკითხავს ამხ. თეიმურაზ ჭუმბურიძე. ლექციების კითხვა იკისრეს კიდევ კირილე ნინიძემ და ნიკიფორე იმნაიშვილმა. მეცადინეობა ხდება კვირაში სამჯერ. აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი კურსების ხელმძღვანელი კომისია, რომელშიაც შედიან: თეოფილე კალანდაძე, ნინა თავძისა, და არჩილ გიორგაძე.

— მოვაჭრემ მიხეილ დაბრუნდაშვილმა 50 მანეთი შესწირა ადგილობრივ სოც. დემოკ. მუშათა პარტიის ორგანიზაციას. კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა უხვ. შემომწირველს.

ნიკო გურული.

### თფილისი.

თფილისის მეორე რაიონული კოლექტივის კრება. ამხ. ხუხუნაშვილმა კრებას გააცნო კოლექტივის თავმჯდომარის მ. ტოროშელიძის შემდეგი განცხადება: „ვინაიდან თფილისის „ბოლშევიკებმა" დაადგინეს გაწყვეტონ დამოკიდებულება „მენშევიკ"—ობორონცებთან" და გაერთიანდენ „მენშევიკ" ინტერნაციონალისტებთან, რომლებიც მარტინოვის, ტროცკის და მარტოვის აზრისანი არიან—მე გავდივარ კოლექტივიდან, ვინაიდან ის „ობორონცების" მსოფლმხედველობას იზიარებს და რომელთა შესახებ ამხ. მარტოვმა განაცხადა პეტროგრადში, რომ მათ წრეში დარჩენა რენეგატობათ მიმაჩნიაო". კრებამ ყოველმხრივ გაარჩია ეს განცხადება, გაითვალისწინა „ბოლშევიკების" მოღვაწეობა კავკასიაში, როგორც წარსული, ისე ახლანდელი და ერთხმად მიიღო შემდეგი განაჩენი: მიუხედავათ იმისა, რომ „მენშევიკური" ორგანიზაციები კავკასიაში მუდამ ცდილობდენ შინაური ერთიანობის დაცვას, „ბოლშევიკები" თავიანთი დეზორგანიზატორული მოქმედებით ანგარიშს არ უწევენ რევოლუციონური მომენტის მოთხოვნას, რომელიც ორგანიზაციულათ გაერთიანებულ პარტიულ მუშაობას საჭიროებს და „რასკოლის" გზას დაადგენ, ანგარიშს ვუწევთ რა მომხდარ ფაქტს, ყოველ ღონისძიებას მივმართავთ, რომ ისინი მასსის გარეშე დარჩენ".

### სად. ევლახი.

ორ ივნისს ს. დ. მ. პ. ევლახის რაიონის წევრთა კრება იყო. კრებას დაესწრო 40 წევრი, თავმჯდომარეობდა ამხ. გაბო ებრალიძე. ამ დღეს კრებას უნდა აერჩია მუდმივი კოლექტივის ორი წევრი, მარა რადგანაც წევრების რიცხვი საკმაოთ არ იყო, ამიტომ არჩევნები გადაიდო 11 ივნისისთვის.

კრებაზე ამხ. შ. ორჯონიკიძემ, რომელიც თფილისში იყო გაგზავნილი, მოხსენება წაიკითხა, თუ როგორ მოაწყო თფილისში პარტიული გაზეთების და ლიტერატურის დაკვეთა ევლახის რაიონისთვის. გარდა ამისა კრებაზე წაკითხულ იქნა ამხ. გიორგაძის მიერ პარტიის წესდება. წევრების რიცხვი ჯერ-ჯერობით ასამდეა. პარტიის ხელმძღვანელათ და ორგანიზატორათ გამოცდილი და პატიოსანი პირია (ამხ. გ. ებრალიძე). ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ევლახის რაიონის ს. დ. მ. ორგანიზაცია გაიზრდება.

„გორაციო".

### ანაკლია.

აქ დაარსდა რ. ს. დ. მ. პარტიის კოლექტივი, რომლის მომწყობი იყო ფოთის ორგანიზაციის დავალებით გამოგზავნილი ახალგაზრდა ქალი, მ. ქადეიშვილისა. მას შეეგებენ ჯარისკაცები, ხე-ტყის ქარხნის მუშები და ანაკლიის შიდა და გარეშე მცხოვრებნი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან მუშებსა და მცხოვრებლებზე. გააცნო ყველას ს. დ. მ. პარტიის პროგრამა. ჩაეწერენ ხე-ტყის ქარხნის მუშები. რუსულ ენაზე ჯარისკაცებს რევოლუციის ამბები უამბო და გააცნო რ. ს. დ. მ. პარტიის პროგრამა.

ანაკლიაში კოლექტივის თავმჯდომარეთ არჩეულია სტეფანე გურგენიძე, მდივნათ დარია აფაქიძისა და ხაზინადრათ ბაგრატ ახალაია. კოლექტივის კრება არის დანიშნული კვირაში ერთხელ—შაბათობით. აგრეთვე ინიშნება არაჩვეულებრივი კრებები პარტიის წევრებისა და ეცნობიან პარტიის პროგრამას. პარტიის წევრთა რიცხვი აქ 300 კაცს აღემატება.

ხიო გოგიჩაიშვილი.

# რევოლუცია პროვინციაში

**ს. ჩიბათი (გურია).** კვირას 28 მაისს აქ შესდგა ლანჩხუთის ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციის განყოფილების კრება ცაცანო ჭყონიას ხელმძღვანელობით. კრებას მრავალი ქალი დაესწრო. თავმჯდომარეთ აირჩიეს კატო ფხაკაძე, მდივნათ ოლია ჭყონია. დღიურ წესრიგში იყო: წესდების განხილვა და საბჭოს არჩევნები. წესდება გააცნო კრებას ლანჩხუთის ქალთა ორგანიზაციის ბიუროს წარმომადგენელმა საშა დარახველიძემ. შემდეგ მოხდა არჩევნები და სასურველი პირებიც აირჩიეს საბჭოში. კრებამ გამგეობაში კაცებიც აირჩია.

ოლა.

**ს. დიდი ჯიხაიში.** 28 მაისს აქ მოხდა საზოგადო კრება. კრების მიზანი იყო დრ. ადმ. კომიტეტების ხელახალი არჩევა. კრებას დაესწრო სამტრედიის კომ. წარმომადგენელი ამხ. გრ. ურუშაძე, ს. დ. პარტიის წარმომადგენელი რაჟ. მიქაძე. კრება დილით იყო მოწვეული, მაგრამ ფედერალისტებთან მოლაპარაკების გამო დაგვიანდა და გაიხსნა პირველ საათზე. თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. ქუთათელაძე, მის ამხანაგებათ ა. ლეჟავა და ნადია ბოლქვაძე, მდივნებათ ს. ჩხეიძე და კ. რუხაძე. გრ. ურუშაძემ გააცნო კრებას საარჩევნო წესდება. ამხ. მიქაძემ ილაპარაკა დემოკრატიულ საარჩევნო წესის უპირატესობაზე. ილაპარაკეს თავის პროგრამაზე ფედ. წარმომადგენლებმა ტ. ხუნდაძემ და ს. ტყავაძემ. ჯერი მიდგა არჩევნებზე. თავმჯდომარემ კითხულობს ადგილობრივ ს. დ. კოლექტივის მიერ შემუშავებულ კანდიდატების სიას და აგრეთვე მოითხოვა ფედერალისტებიდანაც პირობებისამებრ სია. ფედერალისტებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ყუთის დადგმაზე. მიზეზათ დაასახელეს: ჩვენს პროგრამას არ მეხვდა ხალხი თანაგრძნობითო და სხვა. ისინი იმითაც კმაყოფილი დარჩენ, რომ ილაპარაკეს.

დადგეს ოცი ყუთი. ფარული კენჭის ყრით აირჩიეს 15 კომიტეტის წევრი და 3 კანდიდატი.

ალ. ზემოხეთელი.

**ს. დიმი.** (ქუთ. მაზ.) დიმის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამას წინათ გამოიტანა ერთი საყურადღებო დადგენილება. ამ დადგენილებით დიმის საზოგადოებაში პირველი ივნისიდან ისპობა დღესასწაულების მართვა და მიცვალებულის ჩვეულებრივ ხარჯით გასვენება. მიცვალებულის გასასვენებლათ თავს იყრიან მისი ნათესავ მეგობრები, აღნიშნულ ვადაზე, რომელნიც მიაცილებენ სამარეს კარებამდის. დამრღვევი ამ დადგენილებისა ისჯება. სასურველია ამ მაგალითს სხვებმაც მიბაძონ. შემოიღეს აგრეთვე შინაური უთანხმოების მოსასპობათ ახალი წესი ნაცვლად ძველი სასამართლოებისა.

აღმ. კომ მონდომილობით ა. ზ. ვეგეშიძე.

**ხარიყამიში.** 25 მაისს მეოთხე სამშენებლო დრუჟინაში სოც. დემ. მეთაურობით შესდგა კრება, რომელსაც უნდა აერჩია მუშათა დეპუტატების წევრები. თავმჯდომარეთ ერთხმათ იქმნა არჩეული ჯარისკაცი ხაჯიევი (ს.დ.), რომელმაც კრებას გააცნო საბჭოს მნიშვნელობა და ვინ უნდა იყოს არჩეული. შემდეგ ქართულს ენაზე ლაპარაკობს ზ. წერეთელი (რადგან ქართველი მუშები ბლომათ არიან და რუსული ენა ყველამ არ იცის). მისი სიტყვა მუშებში აღფრთოვანებას იწვევს. ილაპარაკა მუსიევმა (ს.დ.) სომხურ ენაზე, ალექსანდრე ცაგურიამ (სოც. რევ.), ი. ჭუმბურიძემ (ს. ფედ.).

სულ წამოაყენეს 16 კანდიდატი. არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით. აირჩიეს წერეთელი, პოიდკოვი, ცაგურია და სხვები.

აქვე დაარსდა სამკითხველო და გამოვიწერეთ ყველა რუსულ-ქართული გაზეთები.

მუშა ლევანა ჯუმუხაძე.

# ექიმის თანაშემწეთა ყრილობა.

4 ივნისს, საექიმო საზოგადოების დარბაზში შესდგა კავკასიის ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა ყრილობა. კრება გახსნა ამხან. კოვალევშვილმა, რომელმაც უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და შემდეგ გადავიდა დღის წეს-რიგზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ საკითხებს, რომელიც უნდა გაარჩიოს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენ ცხოვრებაშიო, ამის შემდგომ ამხ. ვ. ძიძიშვილმა (მუშათა საბჭოს წევრია) წაიკითხა მოხსენება დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, იგი შეეხო სოციალისტურ სამინისტროს. შემდეგ აირჩიეს სამი კაცი მუშათა საბჭოში გასაგზავნათ. კრება სამწუხაროთ არ იცნობს ორს—რა მიმართულების ან რა მიღწევით მათ წარსულში.

მეორე დღეს კრება გახსნა ამხ. ვ. დომბანსკიმ, რის შემდეგ ამხ. კოვალევშვილმა წაიკითხა მოხსენება პროფესიონალური ორგანოს გამოცემის შესახებ. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

ბოლოს არჩეულ იქნა კომისია ექვსი კაცისაგან, რომელთაც მიენდო ჟურნალის გამოცემის საქმე.

ვ. განხანიძე.

# პროვინციის ცხოვრება.

**ს. ქვაბლა.** (გურია) ს. ქვაბლა მთაგორიანი ადგილია, მოსავალი კარგი იცის, მაგრამ მუშა ხელის ნაკლებობის გამო საღარიბეა. აქ კარგათ მოდის თამბაქო. წელს პირველ და მეორე ხარისხის თამბაქო გაიყიდა 60 მან. და მესამე 30 მ. მეფუტკრეობასაც მისდევენ აქაური ი. აქ არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, კოოპერატივი და ფოსტა. არა გვაქვს ჯერ სამკითხველო. მოთხოვნილება დიდია. ამიტომ ვთხოვთ ყველას ხელი მოგვიმართოს და შეგვაძლებინონ სამკითხველოს დაარსება. ყოველგვარი შემოწირულება დიდი მადლობით მიიღება.

ქვაბლელი.

**ახალდაბა.** (ქართლი). მუშაობა აქ დემოკრატიულ ორგანიზაციებში კარგათ მიდის. სურსათის და სანოვაგის ნაკლებობა მაინც და მაინც არ არის. მომხმარებელ საზოგადოება „იმედს" ამ ჟამათ ორი ვაგონი სიმინდი აქვს, აქვს აგრეთვე თეთრი პურის ფქვილი. 1 მაისიდან სად. სუმბათოვოში გაიხსნა შემნახველ-გამსესხებელი კასა. ახალდაბას 4 ცხენოსანი მილიციონერები ჰყავს.

გიორგი აბრამაშვილი.

**თბილისის სახერხი ქარხნები.** მარტში ტრიფონ მეგრელიშვილის მეთაურობით შესდგა შეერთებული კრება სახერხ. ქარხნების მუშებისა. ხსენებულ დარგში ორას ორმოცდაათამდე კაცი მუშაობს. როგორც იქნა ორგანიზაცია მოეწყო. აირჩიეს ორი წარმომადგენელი მუშათა საბჭოში ტრ. მეგრელიშვილი და სოსო კუბლაშვილი. ზოგიერთი ინტრიგანი პირების გავლენით საქმე ძალიან ფერხდება, განსაკუთრებული წილი მიუძღვის გ. ს ძეს, რომელიც 1905 ში უკვე ცნობილი იყო თავისი შავრაზმული მოქმედებით, დღეს ეს ვაჟბატონი ვითომ ჭირისუფლად მოევლინა მუშებს. ამ ვაჟბატონს შეგნებულმა ნაწილმა უნდა გასცეს პასუხი, თორემ ის თავის მოქმედებით ყველას არცხვენს.

მუშა ტერეზიშვილი.

**სად. მიხაილოვის I და II კლასის ბუფეტების მუშები.** სად. მიხაილოვის ბუფეტების მოსამსახურეებმა, იქონიეს რა მხედველობაში არა ნორმალური შრომის პირობები, ბუფეტის მოიჯარადრეს ვლადიმერ ჩიქოვანს შემდეგი დასაბუთებული მოთხოვნილებანი წარუდგინეს 30 მაისს:

1. გაუსწოროს ხაზეინმა მოსამსახურეებს ძველი ანგარიში, თანახმათ მათ შორის მოლაპარაკებისა, დაკარგულ ფრაქების გამოანგარიშებით.

2. თვიურათ 15 მანეთის ჯამაგირის დანიშვნა, ნაცვლად 10 მანეთისა.

3. არავითარი პასუხის მგებლობა დაკარგულ, ანუ გატეხილ ჭურჭელზე და ფრაქებზე.

4. წელიწადში ერთი თვის დასვენება ჯამაგირისა და ადგილის შენახვით.

5. ავადმყოფობის დროს ორი თვის ჯამაგირი და ადგილის შენახვა.

6. ექიმობა და წამალი ხაზეინის ხარჯზე, თუ რომ ეს ავადმყოფობა გამოწვეულია შრომის მიზეზებით.

7. ნავაჭრიდან 15 პროც. მიცემა მოსამსახურეების სასარგებლოთ და „ჩაის" გაუქმება.

8. მოსამსახურე არ იყვეს დათხოვნილი უმიზეზოთ და საქმის გამოუძიებლათ. დანაშაულობის გამორკვევაში ხაზეინთან ერთათ მოსამსახურეებიც იღებენ მონაწილეობას.

9. მოსამსახურეებს უნდა დაურიგდეს წიგნაკები, სადაც უნდა იყოს აღნუსხული ზემოთ აღნიშნული მოთხოვნილებანი და ხაზეინის მიერ ხელმოწერილი.

ბუფეტის მოიჯარადრემ ვლადიმერ ჩიქოვანმა კანონიერათ იცნო მუშების მოთხოვნილებანი და ხელიც მოაწერა. კარგი იქნება ამ მაგალითს სხვა ბუფეტების ხაზეინ-მოსამსახურენიც მიჰბაძავდენ.

დ. ე. მორჩილაძე.

# წერილები რედაქციის მიმართ.

ვაკის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს გამგეობის წევრს ესმა დავით კეპულაძის ასულს, რომელმაც არ დაიშურა და შეკრიბა ქ. ბათუმში 200 მ. ვაკის სამკითხველოს სასარგებლოთ. აგრეთვე ხსენებული გამგეობა ღრმა მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

მადლობას უცხადებთ ტერეზია ყარამან ხომერიკის ასულს, რომელმაც შეაგროვა მოწოდების ფურცლით ქ. ბათუმში და ჩაქვში ნაცნობთა შორის 53 მ. და 57 კ. ხსენებული სამკითხველოს სასარგებლოთ.

ვაკის სამკ. გამგ. მონდ. გამგ. წევრი
რაისა გიორგის ასული კეპულაძისა.

# ცნობები

### ჯარის კაცების შესახებ.

ნიკიფორე ალექსანდრეს ძე გუჯაბიძე მსახურებდა კავკასიის მოქმედ ჯარში, 23 კავკ. ქვეითა პოლკში, 10 როტაში, 2 ზვოდში. ვსთხოვ მის ნაცნობ ამხანაგებს გვაცნობონ მის შესახებ შემდეგის მისამართით: სად. ნატანები (მერია) ალექსანდრე გუჯაბიძეს.

— ჯარის კაცი ნოე ამბაკოს ძე სარჯველაძე მსახურებდა კავკასიის მოქმედ ჯარში, გვაცნობეთ მის შესახებ შემდეგი მისამართით: ოზურგეთის მაზრა, ს. ჩიბათი ამბაკო სარჯველაძეს.

— ჯარის კაცი ვასილ ვაჩას ძე კაკაჩია, მსახურებდა 25 კავკ. მსროლელთა პოლკში. 11 როტაში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით იმის შესახებ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: კავკ. მოქმ. ჯარი, 25 კავკ. მსროლ. პოლკი, 11 როტა, 1 ზვოდი თეოფანე კაკაჩიას.

— 21 იანვარს უცნობმა ინჟინერმა ტაბელჩიკათ წაიყვანა ტრაპიზონში გიორგი ილიას ძე ჩიჩუა 18 წლისა. მას აქეთ მის შესახებ არაფერი ისმის. გვაცნობეთ ვინც იცით მის შესახებ რამე. ქ. თფილისი, კრაჟნი შესახვევი, ილია ჩიჩუას.

# ჩვენი ფოსტა.

ერთგულ მუშას. ხელმეორეთ გამოგზავნეთ წერილი.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.


გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, ა.-განათლების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველს ფულის გამოგზავნისთანავე.

მოიპოვება აქვე ამხანაგებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „საქართველო", [illegible] „განათლება", „ქართველი ხალხის [illegible]", „მაისი", და ყველა ახალი გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.